

უპასუხებელი

დიდა ასოებით ასოზე ქაძ. 
 მთავრულთან ასოზე ნახევარი ქაძ. ნევრულბრძვის ასოთა
 ასოზე მეოთხედი ქაძ.

თუ საჭიროება მოითხოვს, დელაქცია გააწვდის
და შეამოკლებს რასწარმტად გამოცხადებულ წერილებს-
და უმეტესად წერილს დელაქცია ფუნქციონირებს
პეტროლზე.

განცხადებათა შიგნით ქართულს, ბუზუღს და სხვა
კნებებდ.

የግጥም ስም

გამოდის უოველ-დღე ორუბაბათის ბარდა

ნაუ წიგნების გამოცემაზე

ტფილისი, 8 იანვარს.

როგორც წვიმის შემდეგ სოკოები,
ისე იზადებიან ჩვენში სხვა-და-სხვა
ათას გვარა პატარა წიგნები, შაურია-
ნი ბროშურები. მინც არ გინდა, გა-
მომცემლობას ჩეძულობს. მითო-
რ თუ მანს მონახვენ სადმე, აიღე-
ბენ სულელურ ლექსებს, ზღაპრებს,
მოთხრობას ან სხვა რამ ამ გვარს,
აბეჭდიენ ბეზ და ჰყიდიან.

(საღვთისმეტყველების საბჭო)

მომეტებული ნაწილი ამ წიგნებისა არც ღმერთს არგია, არც ერს; უფრო ხშირად კი ეს უმეცარი გამომცემლები ისეთს წიგნებს ავრცელებენ, რომელიც მანებელია, გამრყენელია ხალხის გონებისა და გემოვნებისა. სისულელის, ხეპრულის რამეების კითხვას ეჩვევა ხალხი და მერე ხეივანი რასმე, გონების გამწოთვნელს და თვალის ამხელს ხელს აღარ მოჰკიდებს.

ამ გვარი წიგნების ასე მსწრაფლად
ათასობითა და ათი-ათასობით გავრ-
ცელება გვიმტკიცებს, რომ ჩვენს
ხალხში არის სურვილი, არის ხალისი
წიგნის კითხვისა; ამტკიცებს, რომ
ჩვენს უბრალო ხალხსაც ეპირება
გონებითი საზრდო, ტენის საკე-
ბავი.

მაგრამ რამდენათაც ეს მოვლენა,
ერთის მხრით, სასიამოვნო და სანუ-
გეშო მოვლენაა, იმდენად, მეორეს
მხრით, საწყუხაროა ის, რომ ეს ხალ-

ნის მოთხოვნები კითხვისა და გონების ვარჯიშობისა თითქმის სრულიად არ კმაყოფილდება ამ ქამად ჩვენში. ამის მიზეზი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ის გარემოებაა, რომ გამომცემლობას, იაფ წიგნების ბეჭდვას ისეთი კაცები ჰკიდებენ ახლა ჩვენში ხელს, რომელთაც მხოლოდ თავის ჯიბის ინტერესი აქვთ, რომელთაც არც კი ესმის—თუ რა გვარი საკითხავი წიგნი იქნება ხალხისათვის სასარგებლო და გამოსადეგი და რა გვარი წიგნი მავნებელი, გონების დამაჩლუნგებელი. მანათლებული პირები კი, რომელთაც ეს ცოტათი მაინც ესმის, განზე დგანან ამ შემთხვევაში; ისინი ხალხზე და იმის საჭიროებაზედ არ ზრუნავენ.

ამიტომაც ეს მოვალეობა, ჩვენის აზრით, უნდა იკისროს ჩვენმა წყევალთხვის გამაგრცლებელმა საზოგადოებამ. წესდებითაც და ზნეობითაც ამ გვარი საქმე პირ-და-პირ იმის მოვალეობას შეადგენს. ამას გარდა სხენებულ საზოგადოებას იმდენი ღონისძიება აქვს, (თუ მატერიალური და თუ სხვა გვარი), რომ იმასავით, რასაც კვირეულია, ამისთანა საქმეს ვერც ერთი კერძო პირი ვერ შეასრულებს. თუ კი იკისრებს, თუ კი ენერგიულად მოჰკიდებს ამ საქმეს ხელსა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შრომაში იმას ყველა თავის ქვეყნისა და სამშობლო ლიტერატურის მოყვარენი დაეხმარებიან; და სადაც მუქთი

ფრაგოლეტა, ზომილიც ნიშნავს ზა-

განა ძალაყვას. ეს სახელი სამუდამოთ დაერქვა მას და ამ სახელით არის ის ცნობილი ისტორიაშია.

(၆၅၁၁၁၆၈)

ვაუძვრა! პეპელა ხან მარცხნივ, ხან
მარჯვნივ მიფრინავდა უდარდელათ;
ქალი უკან მისდევდა; ბოლოს პეპე-
ლა დაიღალა, ერთს მაღლობ ადგილ-
ზე მონახა ყვავილი და ზედ დაჯდა
ამ ყვავილს; შემდეგ კიდევ გაფრინდა,
შეჯდა მეორე ყვავილზე; მერე კიდევ
მესამეზე და ამ ნაირად იმდენი ფრი-
ნა და არბინა ეს ქალი, რომ აიყვანა
იმ მაღლობზე, რომელსაც ამ ქვეყ-
ანაში ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა
გაფარდნილი. ამბობდნენ, რომ ვი-
თომც ამ ადგილზე გაზაფხულის ღა-
მეებში თამაშობდნენ ქაჯები და აქ
ატარებდნენ დროს.

ამ ადგილს კედელი ჰქონდა შე-
მოვლებული, რომელიც ზოგიერთ
ადგილას ჩამონგრეული იყო. მერც
ერთი ქრისტიანი ვერ ეკარებოდა ამ
წყეულს ადგილს... მაგრამ პეპლებს
არაფერი გაეგებათ, და ყმაწვილებიც
პეპლებივით არიან...

პეპელა შეფურინდა ამ ხეებით შე-
მოსილ გორაზე. ჩვენი ქალიც შეჭყვა.
როგორც რომ გადასცილდა ერთ

ბუჩქს და მიიხედ-მოიხედა, სიხარულით გულმა ძველა დაუწყო.

იმის წინ გადიშალა მშვენიერი
მინდორი, შემოსილი ხეებით და ათას
ფეროვან ყვავილებთა და ხილით. სხვა-
თაშორის აქ იყო მარწყვი უანგარი-
შო და უპატრონო.

მშვიდობით, პებლებო! ჩვენმა მო-
წაფემ დაიჩოქა ბალახზე და ერთი
მეოთხედი საათის განმავლობაში გა-
იესო მარწყვით კალათა და გაჩქარე-
ბული გამოიქცა სასწავლებელში.

მაწითლებული და დაღალეული მოვიდა სკოლაში. ზეიან მოსვლისთვის გაუჯავრდნენ, რასაკვირველია მაგრამ ის იმისთანა მხიარული და ბედნიერი იყო, რომ გაჯავრებას ყუ რადღებაც არ მიაქცია.

სამხრობის დრო მოვიდა. ძალზე
თავისი ქონება ამხანაგებს დაურიგა
შველას ძალიან უყვარდა ეს ქალი
იმოდენა თაყვანის-მცემოლები ჰყავდა
თავის ამხანაგებში, რომ დედოფალ
გეგონებოდათ.


იქმას ამ დღეს დაარქვეს სახელიად

ფრაგმენტა, რომელიც ნიშნავს პატარა მარწყვს. ეს სახელი სამუდამოთ დაერქვა მას და ამ სახელით არის ის ცნობილი ისტორიაშიაც.

სწორე გითხრათ, შრაგოლეტას ამხანაგებში აღმოჩნდნენ ზოგიერთები, რომელთაც ეწინოდათ და ამბობდნენ, რომ ეს მარწყვი ეშმაკისაგან არის შელოცვილიო; მაგრამ ამ გვარი ლაპარაკი მალე მოისპო, რადგან თანამგრობოზლები ბევრი ჰყავდა შრაგოლეტას და მალე გააკმენდნენ სხმა.

როგორც შეიტყობთ შემდეგ ჩვენის ამბისაგან, ძალიან შემცდარი იყვნენ ის ბოცშეები, რომ ყურს არ უგდებდნენ ამ პირებს, რომელთაც მარწყვის შესახებ ეჭვიანობა გამოაცხადეს.

შრაგოლეთა, აღტაცებული თავის
ბედითა და ამხანაგების თანაგრძნო-
ბით, დაბრუნდა იმავე დაწყევლილს
ადგილს, და იქნობამდინ მივიდა, ის
გათამამდა, რომ ეს ადგილი თავის
საკუთრებად მიიღნა.



დახმარება არ იკმარებს, იქ საზოგადოებას შეუძლია ფულით, შრომის სასყიდლით გაარიგოს საქმე.

მაგალითი აქაც თვალს აგვიხსნის:

ამ რამდენიმე თვის წინათ თფილისში ზოგიერთმა ახალგაზდა განათლებულ სომხებმა დააარსეს „იფ წიგნების გამომცემი საზოგადოება“. ჯერ წელიწადი არ არის, რაც ეს საზოგადოება არსებობს; მაგრამ ამით უკვე რამდენიმე სასარგებლო წიგნის გამოცემა შეიძლება; გამოცემა, როგორც შევითქვით: „რობინზონ კრუსო“ (სურათებით), „წითელი ფარანი“, „თამარ მათობის ლექსები, ახლა აბეჭდვინებენ მოსე ხერენდის ისტორიას აგრეთვე სურათებით, შემოკლებულ სახელმძღვანელოს ზოოლოგიისა და ბოტანიკისა (სურათებითვე) და სხვ. და სხვ.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ ზემოხსენებულ სამხრის საზოგადოებას ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებაზე“ არც მომეტებული საშუალება აქვს და არც უკეთესი გაგება თავის მოვალეობისა; მაგრამ მაგიერად ამით (სომხებს) ერთი რამა აქვს ჩვენზე უფრო მეტი: — ენერგია და საქმის ერთგულად წაყვანა.

ამასვე ვინაობით ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოების კამიტეტისათვისაც...

ახალი ამბები

მაზ. „ავეკაზში“ დაბეჭდილია ღენადიუტ. სკოზელევის შემდეგი მოხსენება პასპის იქითა მხრის ატრიალიდამ:

„28 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ოც-და-ათი ათასი თევზების ქვევითა ჯარი მოადგა ჩვენს ტრანშეებს (თხრილებს), რომლებიც ეჭირა 19 რატას, მსროლელთა კამანდას და ასს ქვევითა

— ეს არის, იხილა შრაგოლეთა, ყველაგან მიტოვებული და გაფრანგებული ადგილი, რომლის ხილს დღემდე ფრინველები და ქიები სკამდნენ. მაგრამ აღმდინს ჩიტებზე მეტი უფლება უნდა ჰქონდეს!

მართლაც, როცა შრაგოლეთა უდარდელად ჰკრეფდა თავის საუნჯეს, უფროდ ისე საშინლათ ჩაჰკრა იმას ვიღამაც უკანდამ თავში, რომ ქალი უგრძნობელი დეცა დედამიწაზე.

— აა! დაგიტრე, შე ქურდო შენა! ღაიყვირა საშინელის ხმით ვიღამაც. — შენ გამცემ მე ამაზე პასუხს!

შემკრთალი და თავ-ზარ-დაცემული შრაგოლეთა ცდილობდა ადგომას; მაგრამ დაინახა თუ არა ერთის საშინელი ადამიანის სახე, ისევე ცივ-ცივად დაეცა. ეს იყო ბებერი დედაცა, მაღალი, გამხდარი, ყვითელი და დაჭმუჭულის სახისა; წითელი თვალები და დიდი, არწივის მსგავსი ცხვირი ჰქონდა. მასისხლიანებულ ტუჩებიდამ ორი დიდი ლოჯი გამოეწვინა.

შრაგოლეთას ბოდიშის მოხდა უნ-

აზახებს. ჩვენებს ჰქონდათ 21 ზარბაზნი და სამი მორტირი. სულ ჩვენის მხრით იყო 2,600 კაცი. თუმცა ჩვენებმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს, მაგრამ თევზებმა კინდამ წაგვართვეს ჩვენგან დაჭერილი ადგილების წინა პირი, ოთხი ზარბაზნი და სამი მორტირიები; მაგრამ წინა თხრილები დამ თოვების სროლით და რეზერვის შემწვობით მტრები უკან დააბრუნეს და, ერთს ზარბაზნს გარდა, სულ ყველაფერი დაატოვებინეს. ამ მოულოდნელ და გაცხარებულ შეტაკებაში ჩვენს ჯარს დიდი ზიანი მოუვიდა; განსაკუთრებით ერთ აშშ-როანს ქვევითა პოლკს დააკლდა ბევრი: მოკლულია 32 სალდათები და დაჭრილია 10. აქ მოჰკლეს ბატალიონის კამანდირი პოდპოლკოვნიკი თავ. მაღალი, როტის კამანდირი ჩიკირევი და პოდპოლკოვნიკი ბოტოვი; პრტილდერის კაცებიც სულ დასჭრეს. მტრებს ბევრათ უფრო დიდი ზიანი მიეცა, ვინც ჩვენ. იმათი მკვდრებით სულ გაიგნო ჩვენი ტრანშეები და მინდორი. იმავე დროს რა დროსაც მოხდა ეს შეტაკება, ცხენის ჯარით შემოვიდა ჩვენს ბანაკს, ისინიც უკუ-აქციეს ჩვენებმა. დაბრუნდა მტერი თუ არა, მაშინვე მიეცა ბრძანება მესამე რიგი ჩასასაფრებელი თხრილები მომზადებულ იყო; როგორც კი ეს შეიტყო მტერმა, ხელ-ახლა დაუბრუნდა ჩვენს ჯარს, მაგრამ დიდის ზიანით დამარცხებულ იქმნენ. ჩვენი ტრანშეები მუშაობა შედარულეს 29 დეკემბერს. 29-ს, სამ საათამდე, ჩვენ ვესროდით ყუმბარებს იმათ ციხეს 50 ნაბიჯიდან. სამ საათზე კოლონნა იერიშით მიადგა ციხეს. შემდეგ გაცხარებულის თოვის სროლისა საღამოს 6 საათზე ჩვენი ჯარი გამაგრდა ამ ციხესთან. 30-ს დეკემბერს ციხე იქვე გარს შემორტყმული იყო.

„28 და 29 დეკემბერს მოკლულ იქმნენ შვიდი აფიცარი (პოდპოლკო-

ლოდა ამ ბებერ დედაცატან (ეს იყო ქაჯი), მაგრამ მან ყურიც არ უგდო, შეუტრა თოკით ხელები და გაუტრა წელში უშველებელი ცოცხი, რომლითაც სცემდა შრაგოლეთას. მერე ეშმაკურ ენაზე რაღაც სიტყვები გამოთქვა; ამ სიტყვებმა ცა და დედამიწა აათრთოლა; შემდეგ გაიქნია ცოცხი, გაფრინდა და თან წაიყვანა საწყალი შრაგოლეთა, რომელიც ისე ეკიდა ჰერში, როგორც აბლაბუდას ქსელზე ობობია დაეიდება ხოლმე.

შრაგოლეთასთვის რომ სკოლაში გეოგრაფია ესწავლებინათ, მშვენიერ საწახეცხს ნახავდა ის გზაზე. იმათ გადართინეს იტალია გარშემოცული უზარმაზარის, თოვლით მოფენილ მთებით — ალპებით და პოლურჯო ზღვით. მაგრამ იმ დროის ქალებს, თავიანთ საშინაო საქმის მეტი, არაფერი არ გაეგებოდათ და არც ენად ეცნობოდათ — თუ რა ხდებოდა ჩინეთში ანუ ი.პონიაში. გეოგრაფია იმათ არ ესაჭიროებოდათ. ამას გარდა საწყალი ბოვში იმისთანა შემინებული

მ. ლალოვი და მამაცოვი, პარუჩიკი სანდუკი, ნელებოვი, პოდპოლკოვნიკი ჩაკსევი, ბატო და ექიმი ტროიცკი) და 102 სალდათი. დაჭრილი-იქმნენ 9 აფიცარი (პოდპოლკ. მადე, თ. ბალიცინი, კაპიტანი ზუბოვი, ინჟინერი იაბლოჩკოვი, შტაბს-კაპიტანი ბატოვი, პარუჩიკი ბრანინკოვი. პრპოვოდნიკი, სოტნიკი ასსიერი და პოდპოლკოვნიკი მაიკოვი) და 84 სალდათი. ამას გარდა მოკლულ-იქმნენ და დაჭრილი 8 სანიტარი 28 და 29-ს, დამით.

„შველაზე უფრო მარჯვედ იყო მესამე ბატარის შტაბს-კაპიტანი ბალუევი. 30 დეკემბერს ცეცხლი კიდევ არ შეწყვეტილიყო. ჯარი მხნეთ არის. „წითელი ჯვრის“ გამგეთა აღმოაჩინეს დიდი თავ-განწირულება და სამსახურის ერთგულება.“

ბუშინ თფილისის ქრუჟოკში, როდესაც თფ. ღარბ თავად-აზნაურთა შვილების სასარგებლოდ ბალი იყო გამართული, ჯერ ბალი არ დაწყებულყო, იმ დროს ერთი უბედურება მოხდა: ღენ-მაიკარი ღე-ტულუშ-ლოტრეს უფროდ დამბლა მოუვიდა და, თუმცა ექიმები მიეშველნენ, მაგრამ ვერა უშველეს-რა: რამდენიმე მინუტის განმავლობაში გათავდა.

მზურგეთიდან გეწერენ, კვირა არ გაივლია, რომ ჩვენს მაზრაში, განსაკუთრებით მობუღეთის სამხდრი-საკენ სოფლებში და გზებზე, ერთი ქურდობა ან ავაზაკობა მაინც არ მოხდეს. პირუტყვები, ცხენები მაინც ერთობ ხშირად იკარგება. ამ გახშირებულ ქურდობას და ავაზაკობას ჩვენი კარგესონდენტი ქაზულებს მიაწერს.

მზურგეთიდანვე ცუდ ამბავს გეწერენ იქაურ საქალბო საწავლებელ-

იყო, რომ თვალვსაც ვერ ახელდა. ისე გადაფრინა ის ქაჯმა მტნისა და მეზუვის მთები, რომ არც კი შეუნიშნავს.

სოცხალ-მკედარი იყო ეს საბრალო ქალი, როდესაც როკაპმა თავის თვალთ-მაქცი ცოცხი დაიქნია და ორივენი ჩამოფრინდნენ ერთს სიცილიის უდაბურს ტყეში.

— შენზე დადექ, შე პატარა ქურდო! დაუძახა შრაგოლეთას როკაპმა, წაელო თმაში ხელი და წამოაყენა — შენ ჩემი ხარ ახლა! დაიწყო შენი სამსახური: წადი. სუფრა გაშალე პურის-საჭმელ ოთახში. რა გემრიელად შეგჭამი ახლავე, ასე გამხდარი რო არ იყო! მაგრამ ნუ გეშინიან, ჩემთან მალე გასუქდები! დაუმატა ამ საშინელმა ქალმა და თან ისე საზარლად გაიღიმა, რომ შრაგოლეთას შიშით ტანში ქრუანტელმა გაუარა.

ადვილად მახელებით, რომ ეს პრველი სადილი შრაგოლეთასთვის გემრიელი და მხიარული სადილი არ

ზე: მაგირდები ხშირად შეგვხვდნენ სწავლას ოსტატის შემოღობილნი, თობ მომეტებულ გაკვეთილებს აღლევენ ბავშვებსაო, მოვლა აკლიათ იმათაო და ხშირად ქალებს მასწავლებლისაგან ხორცი დალურჯებული აქვთ ჩქმეტითაო.

ბ. ხიზანაშვილის წერილის გამო.

მკითხველებს მოესხენებათ რომ მე და ბ. ღიასამიძემ შუა-კაცები ამოვირჩიეთ ჩვენის საქმის გასარჩეველად; ისინი წაიკითხავენ აგრეთვე გუშინდელს წერილს ბ. ხიზანაშვილისას, საიდანაც სჩანს რა ფარ-ხმალსაც ხმარობს ბ. ღიასამიძე თავის თავის გასამართლებლად: ბ. ღიასამიძეს „უცემნია“ ბ. ხიზანაშვილი, რადგან ხიზანაშვილი ვითომ მეზმარებოდა ღიასამიძის მოქმედებაზედ ცნობების შეკრების დროს.


ზოგიერთს შემთხვევაში ცუდ-კაცობის გამოსაშვარებლად დამწერმა ყოველივე ღიას-ძიება უნდა იხმაროს, რომ მკითხველს ცხადად და ძლიერად გამოუხატოს იგი, მაგრამ ზოგჯერ ამ განზრახვისათვის მხოლოდ რომელიმე ამბის დასახელება კმარა.

მგონია ცხლაცა ჰქმაროდეს ამ ამბის დასახელება, რომ მკითხველებმა კარგად გაიცნონ, რა ვაჟკაცია ბძანდება ბ. ღიასამიძე.

ბ. ხიზანაშვილის შესახებ კი აი რა უნდა ვსთქვა: მე და ის მართლა ერთად წავედით ჩემს სოფელში, მაგრამ ცნობების შეკრების დროს ღიასამიძის მოქმედებაზედ იმას არავითარი მონაწილეობა არა მიუღია-რა. მართლაც კიდევ ვთხოვე ბ. ხიზანაშვილს მოწმად ჩაწერილიყო, როდესაც ზოგიერთმა პირებმა დაამტკიცეს სიმართლე ჩემგან დაწერილისა ბ. ღიასამიძის შეიქნებოდა. როკაპმა დიდის მადით შესწამა ერთი შემწვარი კატა და რამდენიმე ცივად გაკეთებული თავი... შრაგოლეთამ ორიოდვე ლუკმა პური დაღეჭა და თვალ-ცრემლიანი მიეგდო გამხმარ ლოგინზე, რომელიც კუთხეში იყო იმისთვის დამზადებული. ის ისეთს ხანში იყო, როდესაც ძილი ადვილად დაძლევის ხოლმე მწუხარებას; ამის გამო მიეგდო თუ არა ლოგინზე, იმ წამსვე ჩაეძინა.

თავი II.

ამ უბედური შემთხვევის მეორედღს შრაგოლეთა შეიქნა როკაპის ტყვიდ და მოსამსახურე გოგოთ. მუდამ დილა უნდა დაეგადა სახლი, გაეწმინდა, სადილი მოემზადებინა და მიერთმია თავის ქალ-ბატონისათვის, დაერეცხა და გაეცხა ქურჭელი და სხვ. და სხვ. რამდენიმე საათი საწყალი შრაგოლეთა უნდებოდე ქაჯის სამიოდ თმის დახუჭუჭებას. შემდეგ უნდა გაეწმინდა მისი ლოჯები, დაეყარა



სახეზე, მაგრამ ბ. ხაზანაშვილმა უარი გამოაცხადა.

ამ ორიოდ სიტყვას დაემატებოდა მხოლოდ შემდეგ:

მე მინდოდა ამ ამბის შემდეგ უარი მეთქვა შუა-კაცებით გასამართლებად, რადგან „სინიდისით“ ამორჩეულთ მგელიტორეთ არ შეზღუდვით იმისთანა კაცის მოქმედების გაჩნევა, რომელსაც თავის ერთად-ერთს იარაღად მუშტი უცვია, მაგრამ მე მინდა მოვსპო ყოველივე მიზეზი მითქმამოთქმისა და ამიტომ ვუცხადებ ბ. დიასამიძეს, რომ რადგან ერთი ჩვენი მგელიტორე — ბ. ბეზუთოვი პეტერბურგში წავიდა და მალე აღარ აბრებს დაბრუნებას ან ხელ-მეორედ ამოვიჩიოთ შუა-კაცები, ან სასამართლოში მივიღოთ.

პრეზანაც და მეორედგანაც პასუხის გამცემი ვარ.

ი. მასხაველი

„დროშის“ კორესპონდენცია

შორაპნის მაზრა, 2 იანვარი. „პრეზან“ გათვრდება ყოჩანი, რა გინდ რომ ხეზო ქეიშითა — ამბობს ჩვენი გონიერი ანდაზა. მა ანდაზა ზოგიერთ ჩვენებურ ექიმებზე მართლდება. რამდენჯერ გამოაშკარებულა საქვეყნოდ თუ სიტყვით და თუ წერით მათი ბოროტ-მოქმედება, რამდენჯერ აუკრძალა ზოგიერთა მაწანწალა აქიმების და მკითხავი დედა-კაცებისათვის მათი ხელითა შესრულება, რადგან ამათ, ანა თუ რაიმე საარგებლობა მოაქვს ხალხისათვის, არამედ დიდ ზარალს და ენებას აძლევს, — მაგრამ ესენი მაინც თავისას არ იშლიან.

გამოჩნდება ერთს რომელსამე სოფელში ბებერი დედა-კაცი ან ახალგაზდა ქალი და გაავრცელებს ხმას:

„მე აქამდის ავთემყოფობდი, ერთი სიკვდილი კიდევაც მოვკვდი; მაგრამ ისევ გავცოცხლდი და ღმერთმა ყველაფერი აქიმობა მასწავლა ამ სიკვდილს დროს.“

ჩვენი ხალხი; როგორც საზოგადოთ გაუნათლებელი და ცრუ-მორწმუნეების მიმყოფი, იმ წამსვე დარწმუნდება ამის სიმატლეში და თუ გაუხდათ ვინმე ავთ, მოჰკურსლავენ მისკენ. მა აქიმებიც, რასაკვირველია, გაუღესავენ რამე წამალს და აძრობენ ფულსებს საწყალ გლეხებს.

ამ წაირ აქიმებს ჩვენი დოქტორ-ზე უფრო მალა აყენებს დაბალი ხალხი. ძმირათ გაიგონებთ ხალხისაგან შემდეგ სიტყვებს:

— დოქტორის ხელში თუ ჩავარდა, ძმაო, ჩვენი ავთემყოფი, წასულია მისი საქმე; დოქტორი, როცა შეატყობს, რომ მისი წამალი არ უხდება ავთემყოფს და არც იმედი აქვს მოაჩინოს, თურმე საწამლავს დააღვინებენ და მოჰკლავსო.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, თუ როგორ ადვილად მოსტყუდება ამ წაირი ხალხი, რომელსაც ეს აზრი და ამის მზავსი ბევრიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

ამ წაირმა აქიმებმა თავიანთი გონიერი რეცეპტებით ბევრი გაგზავნეს „წიალთა შინა აბრამისათა.“ ამის დასამტკიცებლად მოვიყვან რამოდენიმე ფაქტს.

მოგვხსენებთ, რომ ჩვენებური მანდილოსნები არ სჯერდებიან ბუნებისაგან მოცემულ სილამაზეს, სურთ, რომ კიდევ უმშვენიერესი გახდნენ; ამისათვის ხმარობენ სხვა-და-სხვა წამლებს პირის-კანის გასაქეთებლად. მართი ამ გამამშვენიერებელი წამალთაგანი გახლავთ ესრედ-წოდებული „ვერცხლის უმარილი“, რომელიც კეთდება ვერცხლის წყლით და ქერ-

დაფით, რომელსაც დაახმენ ვერცხლის წყალზედ და უცოცხლოთ დასწევს მას.

მა წამალი, როგორც ერთი უსაქიროესი სამკაულთაგანი ჩვენი მანქია პატარძალობისა, თითქმის ყოველს ოჯახში მოიპოვება და აი მოგახსენოთ რა შედეგი აქვს ამ წამლის გავრცელებას.

ამას წინათ გაუხდა ავთ ერთს აქაურს ღურგალის სოფელში შაგირდი კბილების ტკივილით. რამდენი რა არ ასწავლეს ამის მოსარჩენად, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა; ბოლოს გამოჩნდა ერთი აქიმი და ურჩია, რომ მტკივან კბილებში ქერ-დაფი ჩავსხა. ამ აქიმის რჩევა მიიღეს მართლაც; ჩაასხეს ავთემყოფს მტკივან კბილებში ქერ-დაფი და ერთი კვირის განმავლობაში სული შესწირა საწყალმა ავთემყოფმა.

მეორე ფაქტი. მრთს ჩვენებურს ყმაწვილ კაცს დააბარეს ქალებმა მუთისში ქერ-დაფის ყიდვა. მამწვილს ეყიდა და შუშით კარგა თავ-დაცული ახლოხის ჯიბეში ჩადო და წამოსულიყო შინ. მზაზე ქერ-დაფს პრაპკა დაეწვა, ჯიბეში ჩაქცეოდა, ახალუხი და შარვალი გაეწვა და ხორცზე დაეწია; ასე რომ იმის მიზეზით ეს ყმაწვილი მთელი თვე-ნახევარი იწვა ლოგინში და იქამდის ჩაუჭამა ხორცი ბარკ ლზე, სანამ ძვლამდის არ დაუწია. ეს კიდევ ბევრის საცდელის შემწეობით, როგორც იქმნა, მოაჩინეს.

მესამე ფაქტი. მრთს სოფელში ახალ-მოყვანილს კოპწია პატარძალს ურჩიეს თურმე, რომ წყალში გარეული ქერ-დაფი წავსება ლოყებზე თუ უნდოდა გადაშორებოდა ტალი და წმინდა პირის-სახე დარჩენოდა. პატარძალმა მაშინვე შეასრულა ეს რჩევა; მაგრამ მის-და-საუბედუროდ,

არამც თუ უფრო გალამაზდა, არამედ იმ სილამაზეს თავისი ორთაგ-თაგონის სინათლევ შესწირა, და ახლა უკნათლო გახლავთ.

რამდენია კიდევ ამისთანა შემთხვევები მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას. არამც თუ ისობა იმისთანა საწამლავი წამლის ხმარება ჩვენი ში, როგორც ქერ-დაფია, არამედ უფრო თან-და-თან მრავლდება. მე მახსოვს, რომ აქამდის, თუ ძლიერ სანდო კაცი არა, აფთიაქებში არსად არ აძლევდნენ ურეცეპტოთ ამ წამალს; აღკრძალული იყო ამის ხალხში გავრცელება, და ახლა კი, არამც თუ აფთიაქებში, არამედ ს. მაწანწალა მეწვრიმალე გაქარსაც კი დააქეთ სოფლებში და ჰყიდნენ.

სასურველია, რომ ამაზე ვისიც რიგია ყურადღება მიაქციოს და აღუკრძალოს ურეცეპტოთ ქერ-დაფის გაყიდვა, თუ აფთიაქებში არა, — სოფლებში მოსიარულე ვაჭრებს მაინც, თორემ თქვენი მტერია, ამ წამალმა ხალხს დიდი ენება მისცეს.

თ. კვადიშვილი.

უცხოეთი

წმრილი ამბები. პარიზის მუნიციპალურ რჩევის ამორჩეულ რესპუბლიკელებთა შორის — 31 კაცი არიან მამბეტის მომხრენი და 35 — რადიკალები. საზოგადოთ ამორჩევები ზომიერ რესპუბლიკელებთა სასარგებლოთ მიდის.

პრუსიისა და ავსტრიის გაზეთები ძალიან უკმაყოფილებას აცხადებენ იმის შესახებ, რომ რუსეთმა ასწია ბაჟი იმ საქონლებზე, რომელნიც

თმაზედ პური და წითელი წამალი წავსება. ამ მუშაობის შემდგომ შრაგოლეტა, რაც უნდა ბეჯითი ყოფილიყო, სამ-ოთხ სილას მაინც, უეჭველად, მიიღებდა თავის სამინეო ქალ-ბატონისაგან.

თუმცა ამისთანა საძაგელი ცხოვრება ჰქონდა, შრაგოლეტა მაინც დღილამ-დღეზე იზრდებოდა და ლამაზდებოდა. მე იმას არ ვიტყვი, რომ შრაგოლეტას ხასიათიც უკეთდებოდა: იმისთანა ბუნებას ქალი, როგორიც იყო შრაგოლეტა, ვერ მოითმენდა იმოდენა შეურაცხყოფას და ცემას, რაც იმას ჰქონდა. შოველთვის შეურაცხყოფის მიყენებაზედ იმას სისხლი აუღუღლებოდა ხოლმე და სულ იმას ჰფიქრობდა, რომ მაგიერი გადაეხდა თავის მტარვალისათვის. ბებერი ძალიან კარგად გრძნობდა ამას და ცოტა არ იყოს ეშინოდა შრაგოლეტას: ყოველთვის კაცს ეშინიან იმისი, ვისაც ავს უშვრება.

მრთხელ დედა-ბერმა შეამჩნია, რომ შრაგოლეტა ჩვეულებრივზე უფ-

რო მშვენიერი იყო; შურისაგან და ჯავრისაგან მზათ იყო დაეხჩო.

— ბილე ეგ კალათი, წადი წყაროსთან, წყლით გაავსე და მომიტანე, თორემ შევქაპ! შთხრა იმან შრაგოლეტას.

საწყალი შრაგოლეტა გაიქცა საჩქაროთ. იმას ეგონა, რომ ეს კუდიანი ბებერი ეხუმრებოდა და ჩვეულებისამებრ უნდა შეეშინებინა...

ჩაჰყო წყალში კალათი და როცა ამოხწია, ერთი წვითიც არ დარჩა შიგ. სამჯერ გაიხეღმეორა ეს, მაგრამ სამივეჯერ ფუჭად ჩაუვიდა. პალათში, რასაკვირველია, წყალი არ გჩერდებოდა.

მაშინ შეიტყო შრაგოლეტამ, რომ სრულებით ხუმრობა არ ყოფილა და კუდიან ბებერს სწორეთ იმისი მოკვლა და შექმა უნდა. იმედ-გაწყვეტილი და თვალ-ცრემლიანი მიეყუდა ის წყაროს კედელს და დაიწყო ტირილი.

ამ დროს მიესმა მას მშვიდობიანი

და ალერსიანი ხმა, რომელიც უძახოდა:

— შრაგოლეტა, შრაგოლეტა! რისთვის სტირი?

ასწია თავი და დაინახა მშვენიერი ყმაწვილი კაცი, რომელიც ალერსიანთ შეჰყურებდა მას.

— მინა ხარ, ჰკითხა შრაგოლეტამ, რომ ჩემი სახელი გცოდნია?

— მე ვარ იმ კუდიანის შვილი და მქვინ ბელებონი. ვიცი, რომ შენი სიკვდილი უნდათ, უეჭველად, მაგრამ ვერ აუხსრულდებათ თავიანთი სურვილი... მრთი მაკოცე და მე გაგიმცე მაგ კალათს წყლით...

— კუდიანის შვილს უნდა ვაკოცო მე? არას დროს! სთქვა შრაგოლეტამ ზიზლით.

— ძარგი! მე შენზედ უფრო გულჩილი ვარ. შპასუხა ყმაწვილმა კაცმა.

გამოართვა კალათი, სამჯერ ჩაუბერა შიგ, ჩაჰყო წყალში და ამოიღო საესე წყლით ისე, რომ ერთი წვეთიც ერ დაქცეულა.

შრაგოლეტა დაბრუნდა სახლში და წყლით საესე კალათი დასდგა სუფრაზედ. ძუდიანმა ბებერმა რომ დაინახა ეს, ჯავრით გაყვითლდა.

— შენ ხომ შემთხვევით არ გაკუდიანდი? შთხრა მან და გაკვირვებით დააქცერა ახალგაზდა ქალს. მერე დაიკრა შუბლზედ ხელი და სთქვა:


— შენ ბელებონი ნახე და იმან გიშველა განა, გამოტყდი?

— თქვენ თითონ უნდა იცოდეთ, რადგან კუდიანი ხართ...

პასუხის მაგიერად ერთი იმისთანა სილა გაართვა საცოდავ შრაგოლეტას, რომ ქალი დაბარბაცდა.

— ძარგი! ძარგი! დაიყვირა ბებერმა, ენახოთ ვინც დარჩება გამარჯვებული. ის გაიცინებს კარგათ, ვისაც უკანასკნელად შეხვდება სიცილი!

(გაგრძელება იქნება)



პრუსიიდან და ავსტრიიდან შემოაქვთ რუსეთში.

საფრანგეთის უცხო ქვეყნებთან მიწისტრამა, სენტ-ილგრბა დეპარტამენტის საბერძნეთის მართებლობას, რომ ის დათანხმდეს მედიტორების ჩრევაზედ, რომლის თავ-და-პირველი იზრი ეკუთვნის საფრანგეთს.

ამასვე ურჩევენ საბერძნეთს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელი ათინაში.

ინგლისის ელჩს უთქვამს ატმუნ-დუროსისათვის, რომ ინგლისმაც მედიტორების ჩრევის მხარე დაიჭიროს და ურჩევს საბერძნეთს დათანხმდეს ამ ჩრევაზედ. ამის შემდეგ ატმუნ-დუროსს მოულოდინო საბერძნეთის მეფესთან და მინისტრებთან.

განცხადებანი

1881 წლის ზირველ იანვრიდან ცხლკე ნომრები „დროებისა“ ქუთაისში ისეიდება ივანე ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში.

„ქართული ღრამატიული საზოგადოების“ დამფუძნებელი მწვერნი მოწვეულნი არიან საზოგადოების საერთო ყრილობაში კვირას, 18 იანვარს, დილის თერთმეტ საათზე, მბილისის თავად-აზნაურთა ბანკში.

საგანი ყრილობისა: საზოგადოების მმართველობის არჩევა. 3—1

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანა-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა-საქაზრობის შემოსავლის იჯარით გასაგზავად ამა 1881 წლის 15 იანვრიდან ვიდრე 1 იანვრამდე 1884 წლისა.

პარობების (კანდიციის) ნახვა მსურველთ შეუძლიანთ შპრავის კანცელარიაში დილის 10 საათიდან ვიდრე ნაშუადღევს 2 საათამდე, გარდა უქმ დღეებისა. 3—3

ინგლისის მაღაზიაში ისეიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. შეეღა ინგლისის იარაღები ისეიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვერემც სხვაგან. (20—4)

შოტლანდიის კუდები — 1 მან. 25 კაპეიკიდან, ყმაწილის წინდები, ღუფინი—1 მან. და მეტი, ტანისამოსის ცოცხი 50 კაპეიკიდან, ბრეტანის მეტალის ჩაინიკები — 1 მანეთიდან და სხვა—ისეიდება ლონდონის მაღაზიაში, ამერიკის ბანკის ქვეშ. 10—6

ინგლისის მაღაზიაში



ამაგვებს თმის და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნი 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისეიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხვაგვარი თავის ტკივილის მოსაშლელად, ტუფლების საშანი, დუხები და სხვ. (150—26)

ლონდონის მაღაზია

მრეწვის მოედანზე № 2, კომერციული ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქაბტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდველად და ასევე კეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნის) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ტიკების, შოკოლადის, კაკოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთი წინდების, ჩულკების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—12)

ლონდონის მაღაზიაში კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქულები 2 მ. კარგები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაეები და სხვ. ძალიან იაფად ისეიდება. 10—8

„გუგუზის-ტაპოსის“

შესასწორებლათ შემდგარი რედაქცია სთხოვს უფლის უფროსებს, ებარხების მმართველთა უფლებების და გუბერნიის მარშლებსა და ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთა იმოვონ და დროებით გამოგვიგზავნონ ქვემო-მოყვანილი ადრესით ხელ-ნაწერი „გუგუზის-ტაპოსის“. შემდეგ პოემის შეთანხმებისა წიგნი დაუბრუნდება პატრონს უმეტ-ნაკლებად.

ადრესი: თფილს. Канцелярия общества грамотности. Саперная улица, № 41. 8—7

შეათხვეპით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელადელით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისეიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისეიდება 3,000 ფანდოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდან 35 მანეთამდე, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. ღუფინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ 20—15

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადრეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაი—1 მ. 40 კ.

— — — 1—20	— — — 1—60
— — — 1—40	— — — 1—80
— — — 1—60	— — — 2—
— — — 1—80	— — — 2—50

საუკეთესო—2— „ — — — 3— „

იქვე ისეიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაინები, გასაღებები, დანები, კოვხები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკარი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდე საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—75)

წარმატებაზე უკეთესი არა არის-რა, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეაში, სადაც მიღებულია დიდ-ძალი ჩაი 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ჭრისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციგებისათვის; ხველების კანფები და სხვ. აკრეთვე დანა-ჩანგალი, ახალს სისტემის თოფები და სხვ. 15—14

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდან, ხველის კანფები გირვანქა 60 კაპ. მინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციგებისთვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვინი—1 მან. 20 კაპ. ინგლისის მაღაზიაში. 10—8

პატენტირანი შროტაპები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; სარძევე

30 კაპ.; რუმეები შეიძლება ყველაფრები (წელის დასაწმენდელ ქვედაკაბ გვედები 1 მან-დამ; თოფები 2 მან-დამ ინიდუქ; შოკოლადის კანფები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (100—74)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ-მასტერი

ერთობ ბეგრი ისეიდება, ამის გაზომ ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს. (100—89)

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კანფები, მურამები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ ისეიდება მინამ სადმე სხვაგან — ინგლისურ მაღაზიაში არწრუნის გალერეაში. 12—8

მთელი ვაგონი გემრიელი მურამები—1 მან., პორტ-ვინი და ხერესი—ბოთლი 1 მან. 20 კაპ., კონიაკი—2 მან.; დიდი ძალი საუკეთესო ჩაი—1 მან. 5 კაპ. 2 მანეთამდე ინგლისის მაღაზიაში. 10—7

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1881 годъ

(четвертый годъ изданія) на „ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“ подписная цѣна:

Въ Тифлисѣ съ доставкою на домъ 3 руб., на 1/2 года 2 руб. 50 к.

Иногороднымъ съ пересылкою на годъ 5 руб., на 1/2 года 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджева, съ 9-ти утра до 8-ми часовъ вечера. 5—5

მ უ თ ა ი ს უ ი

„ივანენიქოლასის და შვილების“

მოდის მაღაზიაში

ისეიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულთ:

მანდალოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალის კაცისა და ქალების გასაოცარი იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! მარლა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც სიმბატიე ამჟს ნაჰედისა და სილიბიე ნაჰსოვისა; ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშებისათვის და სხვ. და სხვ.

მართის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძნდეთ „ივანენიქოლასის და შვილების“ მოდის მაღაზიაში და იქ იპოვით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა. (10—1)